# ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „777'-ის (ს/კ 202378499) დამფუძნებელთა კრების ოქმი

ქ. თბილისი

20 თებერვალი 2013წ.

**კრებას ესწრებოდნენ:** მაია ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე, ივანე ჯაფარიძე, დავით ჯოხაძე, ავთანდილ ამირეზაშვილი, გოჩა არსიაშვილი, იგორ თავართქილაძის წარმომადგენელი ლევან ბურჯანაძე

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯაფარიძის განცხადების განხილვა ამხანაგობის თავმჯდომარეობიდან გადადგომის თაობაზე.
2. 2005 წლის 19 აპრილის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებაში (სანოტარო აქტი №1-3619) ცვლილებების შეტანის შესახებ.

**ზემოაღნიშნულ საკითხებზე კრებამ იმსჯელა და გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს ივანე ჯაფარიძის განცხადება თავმჯდომარეობიდან გადადგომის თაობაზე და მის ნაცვლად II კომერციული სექტორის თავმჯდომარედ არჩეული იყოს დავით ჯოხაძე.
2. 2005 წლის 19 აპრილის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებაში (სანოტარო აქტი №1-3619. შემდგომში – ძირითადი ხელშეკრულება) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

**2.1.**ძირითადი ხელშეკრულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„6.1** ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი მიზნის მისაღწევად აუცილებელი ინვესტიციების ან ინვესტორის მოძიებამდე, მხარეთა მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, ამხანაგობის მართვის შემდეგ ფორმაზე: ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ტერიტორია მდებარე ქ. თბილისი, თ. მეფის გამზირი №18 (კოდი: 1.13.7.26.14) დაიყოს სამ კომერციულ სექტორად თანდართული გამიჯვნის სქემატური ნახაზის შესაბამისად. კერძოდ,

**სექტორი №I**, რომლის მიწის საერთო ფართია 3422 კვ.მ და მოიცავს შემდეგ შენობა-ნაგებობებს: №1 შენობის ნაწილს, კერძოდ 3281.24კვ.მ, №3,4,5,6 შენობებს სრულად.

**სექტორი №II**, რომლის საერთო ფართია 2527კვ.მ და მოიცავს შემდეგ შენობა-ნაგებობებს: №1 შენობის ნაწილს, კერძოდ 1050.91კვ.მ, №7 შენობის ნაწილს, №2,8 შენობებს სრულად.

**სექტორი №III**, რომლის საერთო ფართია 4695კვ.მ და მოიცავს შემდეგ შენობა-ნაგებობებს: №1 შენობის ნაწილს, კერძოდ 1495.09კვ.მ, №9,10,11,12,13,14,15,16,17 შენობებს სრულად.

6.2 ამხანაგობის წევრებს შორის შემოსავლები ნაწილდება შემდეგი სახით:
6.2.1 მაია ყიფშიძე და გიორგი ყიფშიძე მიეკუთვნებიან პირველ კომერციულ სექტორს და შესაბამისად ისინი მიიღებენ მხოლოდ ამ სექტორის საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს;
6.2.2 ივანე ჯაფარიძე და დავით ჯოხაძე მიეკუთვნებიან მეორე კომერციულ სექტორს და შესაბამისად ისინი მიიღებენ მხოლოდ მეორე სექტორის საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს;
6.2.3 ავთანდილ ამირეზაშვილი, იგორ თავართქილაძე და გოჩა არსიაშვილი მიეკუთვნებიან მესამე კომერციულ სექტორს და შესაბამისად ისინი მიიღებენ მხოლოდ მესამე სექტორის საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს;
**6.3 ამხანაგობას ხელმძღვანელობენ თავმჯდომარეები: მაია ყიფშიძე, დავით ჯოხაძე და ლევან ბურჯანაძე, რომლებიც წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში.**
ამხანაგობის თავმჯდომარეების უფლებამოსილება ნაწილდება შემდეგი ფორმით: მაია ყიფშიძე ხელმძღვანელობს პირველ კომერციულ სექტორს, დავით ჯოხაძე მეორე კომერციულ სექტორს, ხოლო ლევან ბურჯანაძე მესამე კომერციულ სექტორს.
6.4 წინამდებარე ხელშეკრულებით ამხანაგობის ყველა წევრი უფლებამოსილებას ანიჭებს:
ა) მაია ყიფშიძეს - რომ მან ნებისმიერი სახის გარიგება დადოს, რომელიც დაკავშირებულია პირველ კომერციულ სექტორთან, ასევე წარმოადგინოს პირველ კომერციულ სექტორთან დაკავშირებული ამხანაგობის ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ბ) დავით ჯოხაძეს - რომ მან ნებისმიერი სახის გარიგება დადოს, რომელიც დაკავშირებულია მეორე კომერციულ სექტორთან, ასევე წარმოადგინოს მეორე კომერციულ სექტორთან დაკავშირებული ამხანაგობის ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
გ) ლევან ბურჯანაძეს – რომ მან ნებისმიერი სახის გარიგება დადოს, რომელიც დაკავშირებულია მესამე კომერციულ სექტორთან, ასევე წარმოადგინოს მესამე კომერციულ სექტორთან დაკავშირებული ამხანაგობის ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
6.5 ამხანაგობის თავმჯდომარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად დებენ გარიგებებს და ხელშეკრულებებს იმის გათვალისწინებით, რომ ზიანი არ მიადგება ამხანაგობის საერთო ინტერესებს;

## „მუხლი 6[1] ამხანაგობის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პირობები

6[1].1. ამხანაგობის კომერციულ სექტორებად დაყოფის გათვალისწინებით, შემოსავლების აღრიცხვა განხორციელდეს ორ სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე. „პროკრედიტ ბანკ“ში არსებული საბანკო ანგარიში მიეკუთვნოს მეორე და მესამე კომერციულ სექტორს, ხოლო „თიბისი ბანკ“ში არსებული საბანკო ანგარიში – პირველ კომერციულ სექტორს.
6[1].2. მოქმედი და ახალი ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა განხორციელდეს 6[1].1. პუნქტის შესაბამისად.
6[1].3. ამხანაგობის ბუღალტერია კომერციული სექტორების მიხედვით ცალ ცალკე აღრიცხავს ფულადი სახსრების მოძრაობას, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს და მოთხოვნა-ვალდებულებებს (ხელფასი, იჯარა და სხვა).

**6[1].4.** ამხანაგობის ბუღალტერია კომერციული სექტორების მიხედვით ცალ ცალკე აწარმოებს საბიუჯეტო გადასახადების აღრიცხვას, ხოლო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ხორციელდება ერთობლივად.

**6[1].5.** მიმდინარე და წლიური საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მიზნით, ერთობლივი ანგარიშსწორება ხორციელდება კომერციული სექტორების მიერ ნაწარმოები ფინანსური და სამეურნეო ოპერაციების შედეგების და მათზე მიკუთვნებული ქონების მიხედვით.

**6[1].6.** იმ შემთხვევაში, თუ ერთი კომერციული სექტორის ხელმძღვანელის ქმედებების გამო მოხდება მეორე კომერციული სექტორის დაქვემდებარებაში არსებული ქონების იძულებითი წესით გასხვისება, დაყადაღება ან უფლებრივი დატვირთვა, მაშინ შესაბამისი კომერციული სექტორის ხელმძღვანელი უნაზღაურებს მიყენებულ ზიანს მეორე კომერციულ სექტორში შემავალ ამხანაგობის წევრებს. ყოველი კომერციული სექტორის ამხანაგობის წევრები სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ კომერციული სექტორის ხელმძღვანელის ქმედებებზე და მისი მოქმედებით გამოწვეულ ზიანზე. ზიანის ანაზღაურება პირველ რიგში ხდება კომერციული სექტორის ხელმძღვანელის და ამ სექტორში შემავალი ამხანაგობის წევრების წილის დათმობით მეორე კომერციულ სექტორში შემავალი ამხანაგობის წევრებისათვის, ხოლო თუ აღნიშნული არ ყოფნის ზიანის დაფარვას, მაშინ ზიანი ანაზღაურდება კომერციული სექტორის ხელმძღვანელის სხვა ქონებიდან.“

**3.** ძირითადი ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

**4.** წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების უშუალო და განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნეს მითითებული ხელშეკრულების გარეშე.

**5.** წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეებს გადაეცათ შეთანხმების თითო ეგზემპლარი.

**6.** ამხანაგობის თავმჯდომარეებმა უზრუნველყონ შეთანხმების რეგისტრაცია დადგენილი წესით.

**7.** წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2013 წლის 01 მარტიდან.

# გამიჯვნის სქემატური ნახაზი



| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130151761 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 20.02.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **ეკატერინე ჯელაძე** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №110** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | **2345439** |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 47229050931413 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ორიათასცამეტი წლის ოც თებერვალს მე, ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №110, მომმართეს **ივანე ჯაფარიძემ** (დაბ. 02.07.1955წ. მცხ. თბილისი, ამაღლების №34 პირადი №01017030435), **ავთანდილ ამირეზაშვილმა** (დაბ. 28.07.1940წ. მცხ. თბილისი, გლდანის მას. მე-7 მ/რ კორპ. 7ბ. ბ. 49 პირადი №01001043003), **დავით ჯოხაძემ** (დაბ. 10.10.1957წ. მცხ. გაგრა, სოფ. ლიძავა, პირადი №62007012379), **მაია ყიფშიძემ** (05.12.1958წ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №5 ბ. 86, პირადი №01008003969), **გოჩა არსიაშვილმა** (დაბ. 04.01.1976წ. მცხ. თბილისი, წყალტუბოს 1 კორპ. ბ. 48, პირადი №01007004647), **გიორგი ყიფშიძემ** დაბ. (04.09. 1990წ მცხ. თბილისი, ნ. ბაშალეიშვილის ქ. 20, პირადი №01031006072) და **ლევან ბურჯანაძემ** (დაბ. 02.07.1991წ. მცხ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა 11, პირადი №01031006457). მათ წარმოადგინეს ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „777"-ის (ს/კ №202378499) დამფუძნებელთა 20.02.2013 წლის კრების ოქმი და მოითხოვეს თავიანთი ხელმოწერების სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. **მხარეებს განემარტათ, რომ წინამდებარე სანოტარო აქტით ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ განმცხადებლების ხელმოწერების ნამდვილობას.** მათ განაცხადეს, რომ კრების ოქმი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე კრების ოქმს.

გადახდილია 68.08 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური 4 ეგზემპლიარისათვის (28 ხელმოწერა) 56.00 ლარი, დღგ 10.08 ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი _____ ეკატერინე ჯელაძე